ეკატერინე არჩვაძე
შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
earchvadze@ibsu.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2023.08.05

მულტიმოდალობა - კომუნიკაციის სოციალურ-სემიოტიკური ანალიზი და მისი როლი სწავლების პროცესში

ტერმინი „მულტიმოდალობა“ 1920-იანი წლებით თარიღდება. თავდაპირველად ეს იყო ტექნიკური ტერმინი, რომელიც აღნიშნავდა სხვადასხვა სენსორული აღქმის გავლენას ერთმანეთზე. თუმცა, ბოლოდროინდელ კვლევებში ენათმეცნიერებმა და დისკურსის ანალიტიკოსებმა ეს ტერმინი გააფართოვეს სხვადასხვა კომუნიკაციური რესურსის (ვიზუალური, ვერბალური, ჟესტიკულაციური და ა.შ.) ინტეგრირებული გამოყენების აღსანიშნავად, როგორიცაა ენა, გამოსახულება, ხმა და მუსიკა კომუნიკაციის პროცესში. ცნობილი ლინგვისტის, მულტიმოდალური დისკურსის ანალიზის თეორიის შემქმნელის განტერ კრესის (Gunther Kress) მიხედვით, მულტიმოდალობა არის თეორია, რომელიც შეიწავლის იმ განსხვავებულ მეთოდებსა და ხერხებს, რომლებსაც ადამიანები იყენებენ ერთმანეთთან კომუნიკაციისას საკუთარი აზრის გადმოსაცემად. რაც შეეხება მეთოდს, ის ზოგადად განისაზღვრება, როგორც კომუნიკაციის საშუალება, რომელსაც კონკრეტული კულტურა აღიარებს [2].

მულტიმოდალური მეთოდების საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ წერისა და კითხვის პროცესი, ჟესტი, მიმიკა, მზერა, შრიფტის სახეობა, ზომა და ფერი, სურათები, გრაფიკული გამოსახულებები, დიაგრამები, ცხრილები, ფოტო-ვიდეო მასალა და მათი ურთიერთქმედება.

კრესი თვლის, რომ ზემოთჩამოთვლილი საკომუნიკაციო მექანიზმები ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ისინი არ იყვნენ აღიარებული კომუნიკაციის ან აზრის გამოხატვის ლეგიტიმურ, თუ კულტურულად მარკირებულ ფორმებად. თუმცა, დღეს ბევრი თეორეტიკოსი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ თანამედროვე სამყაროში, როცა ადამიანები კომუნიკაციას სხვადასხვა გზით ამყარებენ, ჩნდება საჭიროება დავაკვირდეთ და სათანადოდ შევისწავლოთ ზეპირი, თუ წერითი კომუნიკაციისას გამოყენებული სხვადასხვა საშუალება, რაც წარმატებული კომუნიკაციის წინაპირობად შეიძლება იქცეს [2].

როგორც კი ლინგვისტებმა ცალკეული წინადადებების ნაცვლად ტექსტებისა და ზოგადად კომუნიკაციური მოვლენების შესწავლა დაიწყეს, გააცნობიერეს, რაც აქამდეც უნდა სცოდნოდათ - რომ კომუნიკაცია მულტიმოდალურია: სალაპარაკო ენა არ შეიძლება ადეკვატურად იქნეს გაგებული არავერბალური კომუნიკაციის გათვალისწინების გარეშე [1].

თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარების კვალდაკვალ საზოგადოებრივი კომუნიკაცია სულ უფრო მულტიმოდალური ხდება. ტელევიზიამ დაიწყო არავერბალური კომუნიკაციის გამოყენება, ისევე როგორც მხატვრული პროზა, სამეცნიერო გამოცემები და ბეჭდური მედია გახდა მულტიმოდალური - წიგნების, ჟურნალებისა და გაზეთების გვერდები ისეთი საილუსტრაციო საშუალებებითაა გაფორმებული, როგორიცაა დიაგრამები,

სქემები, ცხრილები, ნახატები და ნახაზები, საცნობარო მასალა, ავთენტური ფოტოები, საინფორმაციო ტაბულები, დამატებითი მასალა განმარტებებით და სხვა.

ჯერ კიდევ 1930-1940-იან წლებში პრაღის, პარიზის (სტრუქტურალისტები) და ამერიკის საენათმეცნიერო წრეების წარმომადგენლები დაინტერესდნენ და ყურადღება გაამახვილეს კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდზე, პოპ-კულტურისა და მასმედიის ანალიზზე, სალაპარაკო ენის მულტიმოდალურ ხასიათზე და არავერბალურ კომუნიკაციაზე. 1990-იან წლებში კი ენათმეცნიერ ჰალიდეის (1975, 1978) ნაშრომებზე დაყრდნობით დაიწყო ტერმინის „მულტიმოდალობა“ ფართო გამოყენება და დამკვიდრება თანამედროვე გამოყენებით ლინგვისტიკაში, განსაკუთრებით კი განათლების სფეროში ენისა და წიგნიერების შესწავლის მიმართულებით წარმოებულ კვლევებში [2].

მულტიმოდალური ანალიზის მეთოდი ფართოდ გამოიყენება განათლების სფეროში, ძირითადად სამი მიმართულებით: 1.სასკოლო ასაკის ბავშვებში მულტიმოდალური წიგნიერების განვითარების შესწავლა, ანუ მულტიმოდალური წიგნიერების ინტეგრირება სასწავლო გეგმაში; 2. მულტიმოდალური სასწავლო რესურსების გამოყენება, მათ შორის სახელმძღვანელოების, სათამაშოების, CD-დისკების და ინტერნეტ რესურსების ინტეგრირება სწავლება-სწავლის პროცესში; და 3. მულტიმოდალური საკლასო ინტერაქციის შესწავლა.

მულტიმოდალური ანალიზის ჩართულობამ განათლების სფეროში დაამტკიცა, რომ მულტიმოდალური სასწავლო რესურსების გამოყენება კლასში/აუდიტორიაში ეხმარება სტუდენტებს უკეთ შეისწავლონ და შეიცნონ მათ გარშემო არსებული სამყარო, რაც საკუთარი კულტურული და სოციალური იდენტობის აღქმის წინაპირობაა [2].

მულტიმოდალურმა ანალიზმა დაამტკიცა მთელი რიგი სასწავლო მასალისა და ტექნიკის გამოყენების დადებითი ეფექტი მცირეწლოვან ბავშვებში და არა მხოლოდ, მათ გარშემო არსებული სამყაროს შესახებ წარმოდგენის შესაქმნელად. კრესმა შეისწავლა სხვადასხვა მეთოდის გამოყენება საშუალო სკოლის უმცროსკლასელთა შორისაც. დაკვირ-ვებამ ცხადყო, რომ ერთი და იგივე დავალების შესასრულებლად ერთმა შემსწავლელმა გამოიყენა ვერბალური კომუნიკაცია (ენა), მეორემ - ნახატი, მესამემ - დიაგრამა, რაც ფუნდამენტურია ეფექტური მულტიმოდალური წარმოდგენის შესაქმნელად.

კვლევები ცხადყოფს, რომ მულტიმოდალური ანალიზი გამოიყენება არამხოლოდ სწავლება-სწავლის პროცესის შეფასებისას, არამედ სახელმძღვანელოებისა და სხვა სასწავლო რესურსების შექმნის პროცესში, რაც მზარდი ტენდენციით ხასიათდება განსაკუთრებით ბოლო წლებში.

მულტიმოდალური ანალიზი ძირითადათ ორი მნიშვნელოვანი საკითხის შესწავლითაა დინტერესებული: 1) აღმოაჩინოს და დაადგინოს სემიოტიკურ მეთოდებს(საშუალებებს) შორის არსებული მსგავსება- განსხვავებანი; და 2) შეისწავლოს, თუ რამდენად განსხვავებული სემიოტიკური საშუალებებია ინტეგრირებული მულტიმოდალურ ტექსტებსა და ზოგადად, კომუნიკაციის პროცესში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მულტიმოდალური ანალიზი მოიცავს არამხოლოდ საკომუნიკაციო ფორმების და სტრუქტურების, არამედ მათი ფუნქციობის კვლევას და ყურადღებას ამახვილებს ამ ორი ელემენტის ურთიერთმიმართებასა და ურთიერთზეგავლენაზე.

მულტიმოდალური ანალიზისას დაისმის საკვანძო შეკითხვა, თუ რა მასშტაბით გამოიყენება არაენობრივი საშუალებები ენობრივი საშუალებების პარალელურად და რამდენადაა შესაძლებელი მათი შესწავლა ლინგვისტური ანალიზის ცნებებითა და მეთოდებით. ენათმეცნიერები სხვადასხვა დასკვნამდე მივიდნენ. ზოგიერთ მათგანს მიაჩნია, რომ ფორმალური მხარის შედარება ნაკლებად რაციონალურია, რადგან ვიზუა-ლური

კომუნიკაციის ფორმები რადიკალურად განსხვავდება ენობრივი კომუნიკაციის საშუალებებისგან. თუმცა, ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ გამოხატვის ორივე საშუალება ვერ ასრულებს ერთსა და იმავე კომუნიკაციურ ფუნქციას და გარკვეულ დონეზე ვერ გადმოსცემს ერთსა და იმავე მნიშვნელობას. კრესსა და ლეუვენს მიაჩნიათ, რომ ენის გრამატიკის მსგავსად, ვიზუალური კომუნიკაციის „გრამატიკაც“ შეიძლება შეფასდეს, როგორც ფუნქციონალურ-სემანტიკური სისტემა. მათივე აზრით, შეუძლებელია ყველა მნიშვნელობის თანაბარი გამოხატვა როგორც ვერბალური, ასევე არავერბალური საშუალე-ბებით, თუმცა ორივე მეთოდის თანადროული გამოყენებისას, შესაძლებელია თვალნათლივ დავინახოთ მათი ფუნქციური დატვირთვა- გამოხატოს ქვეტექსტური მნიშვნელობა, ან ხაზი გაუსვას სათქმელის რეზონანსულობას [1].

მულტიმოდალური ანალიზის თანახმად, მეტყველებისა და წერის საკომუნიკაციო ფორმების მსგავსად, ყველა სხვა მეთოდი/საშუალება (მაგ. გამოსახულება, ჟესტიკულაცია, 3-განზომილებიანი ფორმები, ანიმაცია) შედგება სემიოტიკური რესურსებისგან, რომლებსაც ადამიანები იყენებენ მოვლენებისა და მათი ურთიერთკავშირის აზრობრივ- კონცეპტუალური წარმოსახვისას.

მულტიმოდალობა აერთიანებს ადამიანსა და მანქანას შორის არსებული კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდს, რომელიც ბუნებრივია, მოიცავს ენას, მაგრამ არ ანიჭებს მას უპირატესობას სხვა მეთოდებთან მიმართებაში, როგორიცაა უძრავი და მოძრავი გამოსახულებები, ნახატები, დიაგრამები, ილუსტრაციები, ჟესტ-მიმიკა და სხვა. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მულტიმოდალობა აღიარებს ინტერაქციის სხვადასვა საშუალების ინტეგრირებულ გამოყენებას.

შედარებით მარტივი მაგალითი რომ ავიღოთ, სამეტყველო ენასაც და გარკვეულ გამოსახულებასაც შეუძლია გამოხატოს ისეთი მნიშვნელობა, როგორიცაა „სოციალური დისტანცია“, თუმცა სხვადასხვაგვარად. ენაში სოციალური დისტანცია შეიძლება გამოიხატოს ფორმალურობის ხარისხით, სტილითა და მიმართვის ფორმით, ან ნაცვალსახელების სისტემის მეშვეობით. მეორე პირისთვის ერთი ფორმა მიუთითებს „შორეულ“ დისტანციაზე და გამოხატავს პატივისცემას, მოწიწებას, ასაკობრივ, სოციალურ, თუ სხვა ტიპის სხვაობას ადრესატსა და ადრესანტს შორის. (მაგ: ფრანგულ ენაში მეორე პირის ნაცვალსახელი- **vous,** გერმანულში- **Sie,** იტალიურში **Voi ,** ხოლო ქართულიში- **თქვენ**) ისევე როგორც სიახლოვე, თანასწორობა, არადისტანციურობაა გამოხატული ასევე მეორე პირის ნაცვალსახელებით ამავე ენებში; (მაგ: ფრანგული - **tu;** გერმანული- **Du; იტალიური- Tu,** ქართული - **შენ**) ფოტოებზე, ილუსტრაციებში და ა.შ. სოციალური დისტანცია რეალიზდება „კადრის ზომის“, პერსონაჟებს შორის მანძილის გამოხატვის საშუალებით. კადრი, რომელიც გვიჩვენებს პერსონაჟებს ერთმანეთთან ახლო მანძილზე, ასახავს ახლო სოციალურ დისტანციას, ხოლო სურათი, რომელზეც ადამიანები წარმოდგენილი არიან ერთმანეთისგან მოშორებით, შორ სოციალურ დისტანციაზე მიგვითითებს.

ჩვენ ასევე ვიცავთ გარკვეულ დისტანციას ერთმანეთთან ყოველდღიური ურთიერთობისას. მხოლოდ ადამიანები, რომლებთანაც გვაქვს ახლო ურთიერთობა, შეიძლება მოგვიახლოვდნენ საკმაოდ ახლო მანძილზე საუბრისას ან სხვა სოციალური აქტივობისას, მაშინ, როცა აუცილებელია შევინარჩუნოთ „დისტანცია“ ჩვენთან სხვა ტიპის ურთიერთობებში მყოფ ადამიანებთან გაცილებით უფრო ოფიციალურ, ფორმალურ გარემოში. თუმცა, დისტანციურობის ხარისხი განსხვავდება სხვადასხვა კულტურაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოცემულ კულტურაში „სოციალური დისტანციის“ დამკვიდრებული, აღიარებული სოციალური სისტემა არეგულირებს ინტერპერსონალურ

ურთიერთობებს, რაც როგორც წესი, შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა საშუალებით - ენით, ქცევით, ჟესტ-მიმიკით და ა.შ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განტერ კრესის მულტიმოდალურობის თეორია არსებითად ეხება იმას, თუ როგორ სწავლობენ ადამიანები, ურთიერთობენ და გადასცემენ ინფორმაციას სხვადასხვა ხერხის/მეთოდის გამოყენებით. მისი ღრმა რწმენით, თუ განათლების სფეროში მოღვაწე პროფესიონალები შეძლებენ თავიანთი აუდიტორიისთვის საუკეთესო მულტიმოდალური საშუალებების შერჩევას, ეს გაზრდის გაგების, ცოდნის შეძენისა და შემდეგში მისი სათანადოდ გამოყენების შესაძლებლობას [2].

მულტიმოდალობის თეორია ემყარება სამ ძირითად პრინციპს, რომლებიც განათლების სფეროში მოღვაწე პროფესიონალებმა უნდა გაითვალისწინონ მულტიმოდალური რესურსების შერჩევისა და გამოყენებისას:

1. **მრავალფეროვნება;**

ვიზუალური, ვიდეო, აუდიო და მედია საშუალებების მრავალფეროვნება სასწავლო პროცესში.

2. **სოციალურ-კულტურული მრავალფეროვნების და შემსწავლელის პიროვნული დამოკიდებულების გათვალისწინება სასწავლო რესურსების მიმართ;**

ბეჭდური და ელექტრონული სასწავლო რესურსები და საშუალებები ვერ იქნება სოციალურ-კულტურული ფასეულობებისგან დაცლილი. შესაბამისად, სოციოკულტურული ნორმებისა და ღირებულებების გათვალისწინებით, ზოგიერთმა შემსწავლელმა შეთავაზებული სასწავლო რესურსი სრულიად განსხვავებულად შეიძლება აღიქვას, ვიდრე სხვა ქვეყნის, სოციალური, რელიგიური, თუ ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელმა. სწორედ ამიტომ, განათლების სხვადასხვა დარგის პროფესიონალებმა უნდა გავითვალისწინოთ ჩვენი სამიზნე აუდიტორიის სოციალურ- კულტურული ფასეულობები და შემსწავლელების სენსიტიურობა განსახილველი საკითხების მიმართ .

მულტიმოდალობის თეორია რამდენიმე ძირითად კომპონენტს მოიცავს:

1.მეთოდი/ ხერხი; მოცემული საკითხის განხილვისას მეთოდი/ ხერხი შეიძლება გავიგოთ როგორც კომუნიკაციის ფორმა, რომელიც გამოიყენება ინფორმაციის გადმოსაცემად. ბუნებრივია, სასწავლო პროცესში, როგორც აუდიტორიაში, ასევე ონლაინ სწავლებისას, შესაძლებელია რამდენიმე მეთოდის ინტეგრირება. მაგალითად, პრეზენტაცია შეიძლება შეიცავდეს აუდიო ტექსტს, ვიზუალურ ეფექტებს- სურათებს და ბეჭდურ ტექსტს, და ყველა ერთობლივად მუშაობდეს ძირითადი იდეის ან კონცეფციის გადმოსაცემად. გამოხატვის ნებისმიერი საშუალება განიხილება როგორც „მეთოდი“, როგორიცაა ზეპირი თუ წერილობითი ტექსტი, ნახატი, ფოტო, ანიმაცია, ილუსტრაცია, საშემსრულებლო ხელოვნების ნიმუშები და ზეპირმეტყველება.

2. მედიუმი - გამოხატვის საშუალება; მედიუმი შეიძლება გავიაზროთ როგორც მზა პროდუქტი, რომელიც მოიცავს ჩვენს მიერ სასწავლო პროცესში გამოყენებულ სხადასხვა საშუალებას. (მათ შორის- ვიდეო-აუდიო მასალა, ზეპირი თუ წერილობითი ტექსტი, სურათი, საინფორმაციო ხასიათის გზავნილი, მუსიკალური ნომერი, ცხრილი, დიაგრამა, ამონარიდი ოფიციალური თუ დოკუმენტალური მასალებიდან, ისტორიული წყაროები, ნაწყვეტი, ციტატა და ა. შ.) იმ პირობის გათვალისწინებით, რომ ჩვენს მიერ არჩეული საშუალება აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს შემსწავლელთა სპეციფიკურ საჭიროებებსა და პრეფერენციებს.

3. სასწავლო რესურსები; ზოგადი კულტურული ფონი, საზოგადოება, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და პირადი შეხედულებები გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ აღვიქვამთ და

ვიყენებთ ელექტრონული თუ არაელექტრონული სწავლების რესურსებს. მულტიმოდალური ანალიზის მიხედვით, უნდა არსებობდეს საერთო კულტურული მნიშვნელობა, ერთგვარი შეთანხმება-კონვენცია საზოგადოების წევრებს შორის სემიოტიკურ სასწავლო რესურსებთან დაკავშირებით რადგან, თუ მხოლოდ ერთი ადამიანი/ შემსწავლელი პოულობს მნიშვნელობას სასწავლო რესურსში, მაშინ ის არ შეიძლება ჩაითვალოს კულტურულად სწორად მარკირებულ სასწავლო რესურსად.

4. სემიოტიკური ელექტრონული/არაელექტრონული სასწავლო რესურსების მრავალფეროვნება და ხელმისაწვდომობა; ელექტრონული/არაელექტრონული სწავლები-სას მულტიმოდალობის თეორია გულისხმობს ჩვენთვის ხელმისაწვდომი სასწავლო რესურსებით სრულფასოვან სარგებლობას, რომლებიც აუცილებლად უნდა იყოს ორიენტირებული შემსწავლელების საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე.

დასასრულს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტერმინი მულტიმოდალობა გამოიყენება ადამიანის კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდის (ვიზუალური, ვერბალური, ჟესტური და ა.შ.) აღსაწერად. ზოგადად მეთოდი კი განისაზღვრება, როგორც კომუნიკაციის არხი, რომელსაც კონკრეტული კულტურა აღიარებს. მეთოდების მაგალითებია: წერა, კითხვა, ჟესტი-მიმიკა, პოზა, მზერა, შრიფტის ზომა, სახეობა და ფერი, სურათები, ვიდეო და აუდიო მასალა და მათი ურთიერთქმედება.

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ეს მეთოდი ყოველთვის არსებობდა და აქტიურად გამოიყენებოდა სასწავლო პროცესში, ისინი ყოველთვის არ იყვნენ აღიარებული კომუნიკაციის ან გამოხატვის ლეგიტიმურ თუ კულტურულად მარკირებულ ფორმებად. განათლების თეორეტიკოსები, რომლებიც მხარს უჭერენ მულტიმოდალურობას, ხაზს უსვამენ, რომ ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობენ კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებით. სწორედ ამიტომ, საჭიროა ყურადღებით დავაკვირდეთ და შევისწავლოთ ზემოთაღნიშნული ყველა საკომუნიკაციო ფორმა და ვაღიაროთ მათი თანადროული აქტიური გამოყენების უპირატესობა სასწავლო პროცესში, იმ რეალობის გათვალისჭინებით რომ, თანამედროვე საზოგადოება სრულიად მულტიმოდალურია და ვერც საგანმანათლებლო სივრცე დარჩება ამ მიღწევის მიღმა. მულტიმოდალური სასწავლო რესურსების გამოყენაბა იძლევა შესაძლებლობას გაიზარდოს მოსწავლეთა/სტუდენტთა აქტიურობა საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისას განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, რადგან შემსწავლელთა ტიპების მიხედვით, ზოგიერთისთვის ვერბალური სასწავლო მასალაა საკმარისი იდეების გენერაციის პროცესში, ხილო სხვებს ვიზუალური და აუდიო რესურსების ჩართვა ესაჭიროებათ მეტი პროდუქტიულობის მისაღწევად.

ლიტერატურა:

1. კრესი და ლიუენი 2001- Kress, Gunther R., and Theo Van Leeuwen. (2001). *Multimodal discourse: The modes and media of contemporary communication*. Vol. 312. London: Arnold;
2. კრესი 2009 - Kress, G. (2009). *Multimodality: A social semiotic approach to contemporary communication*. Routledge.
3. კრესი 2000- Kress, G. (2000). Multimodality. *Multiliteracies: Literacy learning and the design of social futures*; Routledge.
4. ინტერნეტ რესურსი:
   Applying The Multimodality Theory in eLearning **By Christopher Pappas;**
   https://www.docebo.com/learning-network/blog/applying-the-multimodality-theory-in-elearning/

Ekaterine Archvadze
International Black Sea University
Tbilisi, Georgia

Exploring Multimodality - Social-semiotic Analysis of Communication in TEFL

Abstract

The aim of the research is to deal with the problem of multimodality as a field of study investigating the common as well as the distinct properties of different modes in the multimodal mix and the way they integrate in teaching process and communicative events in general.

In the era of digital and technological advancement , in the epoch of computerized classrooms , we see the increasing role of multimodal mix in teaching / learning process. With the help of contemporary classroom equipment and modern handbooks we provide our students with rich multimodal teaching materials, so that they have access to different modes : - verbal, textual, visual, graphic, audio and video. The use of all these modes is aimed at providing our students with the variety of linguistic and nonlinguistic forms to help them develop their communicative competence.